პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

ორშაბათი, 6 თებერვალი, 1950 წ. № 28 (8588). ფასი 20 კაპ.

საქართველოს მშრომელები თავიანთ წინასაარჩევნო კრებებზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის საყოველთაო-სახალხო კანდიდატად უდიდესი სიყვარულით ასახელებენ ხალხთა ბელადს — დიდ სტალინს!

დეპუტატობის კანდიდატებად ხალხი ასახელებს ამხანაგ სტალინის თანამებრძოლებს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და ხელოვნების სახელოვან ადამიანებს, მათ, ვინც დაიმსახურა მშრომელთა ნდობა და პატივისცემა, ვინც წარმატებით იბრძვის კომუნიზმის მშენებლობის სტალინური პროგრამის განხორციელებისათვის.

ჩვენი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის მძლავრი დემონსტრაცია

საბჭოთა ხალხი განსაკუთრებით სასიხარულო დღეებს განიცდის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების წამოყენებისადმი მიძღვნილი წინასაარჩევნო კრებები, რომლებიც გუშინწინ, 4 თებერვალს დაიწყო, მშრომელთა უმაგალითო პოლიტიკური აქტივობით, საყოველთაო აღფრთოვანებისა და ზეიმის ვითარებაში მიმდინარეობს. წინასაარჩევნო კრებები ბოლშევიკური პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი საბჭოთა ადამიანების მგზნებარე სიყვარულისა და უსაზღვრო ერთგულების, მათი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ახალ, მძლავრ დემონსტრაციად გადაიქცა.

გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ბედნიერი ადამიანები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად ასახელებენ საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს, ხალხის ერთგულ შვილებს, ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის, კომუნიზმის საქმისათვის თავდადებულ ადამიანებს. მთელი ჩვენი ქვეყნის მუშებმა, კოლმეურნეებმა, მეცნიერებმა, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა, საბჭოთა არმიის მებრძოლებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებებზე უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად უდიდესი აღფრთოვანებით დაასახელეს საბჭოთა ხალხის ბრძენი ბელადი და მასწავლებელი, ყველა ქვეყნის მშრომელთა მამა და მეგობარი დიდი სტალინი. ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების, უდიდესი მადლობისა და პატივისცემის გრძნობით არის გამსჭვალული წინასაარჩევნო კრებებზე გამოსულთა სიტყვები. მათ გამოსვლებში გამოხატულია მთელი საბჭოთა ხალხის გულისთქმა, სურვილები და მისწრაფებანი.

ყოველივე ის, რითაც ამაყობენ საბჭოთა ადამიანები, რაც სიხარულით ავსებს ჩვენს გულს, რითაც ძლიერი და უძლეველია ჩვენი ქვეყანა, სტალინის სახელთან არის დაკავშირებული. სტალინი საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებათა ორგანიზატორია, ჩვენი თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრების შემქმნელია. დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენმა ხალხმა ააშენა სოციალისტური საზოგადოება, დაიცვა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, გაანადგურა გერმანელი ფაშისტები და იაპონელი იმპერიალისტები და ამით კაცობრიობა იხსნა ფაშისტური მონობის საფრთხისაგან. ახლა ჩვენი ქვეყანა წარმატებით აშენებს კომუნიზმს.

სტალინი ჩვენი დროშაა, საბჭოთა ხალხის უძლეველობის სიმბოლოა. იგი კაპიტალისტური სამყაროს ექსპლოატირებულთა და ყველა ჩაგრულთა იმედი, მხსნელი და მფარველია. მისი სახელი ყველაზე ძვირფასი, ყველაზე საყვარელი, ყველაზე მახლობელია საბჭოთა ადამიანებისათვის, ყველა ქვეყნის მშრომელებისათვის. აი რატომ არის, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელები უსაზღვრო სიხარულით ასახელებენ დიდ სტალინს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ჩვენი რესპუბლიკის ამომრჩევლებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად წამოაყენეს დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლები, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწეები მოლოტოვი, მალენკოვი, ბერია, ვოროშილოვი, ხრუშჩოვი, კაგანოვიჩი, მიქოიანი, ანდრეევი, შვერნიკი, ბულგანინი, კოსიგინი. წინასაარჩევნო კრებებზე გამოსულნი განსაკუთრებული სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით ლაპარაკობდნენ დიდი სტალინის თანამებრძოლთა უდიდეს დამსახურებაზე საბჭოთა ხალხის წინაშე.

წინასაარჩევნო კრებებზე საბჭოთა სახელმწიფოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებულ იქნენ ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო ადამიანები. მათ შორის ჩვენ ვხედავთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სტახანოველებს, მეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებს, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს. ეს ის ადამიანებია, რომლებმაც თავიანთი ენერგიული შრომით, ხალხისათვის ერთგული სამსახურით, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის აყვავებისათვის თავდადებული ბრძოლით მშრომელთა ნდობა და სიყვარული დაიმსახურეს.

ჩვენი ქვეყნის სამრეწველო საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, რკინიგზის ტრანსპორტზე და საბჭოთა მეურნეობებში, მაღაროებში და ახალმშენებლობებზე უჩვეულო ძალით გაჩაღდა არჩევნების აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. წინასაარჩევნო კრებები გადაიქცა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმებად. აჯამებენ რა მიღწეულ წარმატებებს, მშრომელები ამავე დროს ახალ ვალდებულებას კისრულობენ და მტკიცე პირობას იძლევიან კიდევ უფრო მეტი წარმატება მოიპოვონ მეოთხე სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

ის უმაგალითო საწარმოო ენთუზიაზმი და პოლიტიკური აქტივობა, რომელმაც მთელი ჩვენი ქვეყანა მოიცვა, ის უდიდესი აღფრთოვანება, რომლითაც წინასაარჩევნო კრებები მიმდინარეობს, უტყუარი გარანტიაა იმისა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნები წარმატებით ჩატარდება. ეს არჩევნები, ისე როგორც წინანდელი არჩევნები, იქნება საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის დიადი ზეიმი, სტალინური კონსტიტუციის ნამდვილი ტრიუმფი, იგი იქნება საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო ჩვენი ქვეყნის მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის მტკიცე დარაზმულობის ახალი მძლავრი დემონსტრაცია.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის ლენინის № 147 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის

ცნობა

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის ლენინის № 147 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის მისამართია:

ქალაქი თბილისი, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის შენობა, საბჭოს ქუჩა № 134, მეორე სართული, ოთახები № 10, 11, ტელეფონი 3-11-46.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის საქალაქო № 144 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის

ცნობა

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის საქალაქო № 144 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის მისამართია:

ქალაქი თბილისი, ლესელიძის ქუჩა № 4, მშრომელთა დეპუტატების კიროვის რაისაბჭოს აღმასკომის შენობა, მეორე სართული, ოთახი № 4, ტელეფონი 3-71-89.

---

6 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, შრომის სასახლის კლუბში (თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 19) **პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭო იწვევს მე-4 პლენუმს.**

დღის წესრიგი: „საქართველოს პროფკავშირთა კულტურული დაწესებულებების საკავშირო დათვალიერების შედეგების და მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭო

---

8 თებერვალს ქ. თბილისში მოწვეულია **საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის პლენუმი** აქტივთან ერთად.

დღის წესრიგი: 1. საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების 1949 წლის მუშაობის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება. (მომხსენებელი შ. ნემსაძე); 2. სალექციო პროპაგანდის ხარისხისა და იდეური შინაარსის გაუმჯობესების შესახებ. (მომხსენებელი აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი).

სხდომა დაიწყება საღამოს 8 საათზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8).

დიდი სტალინი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველი საყოველთაო-სახალხო კანდიდატია!

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ამხანაგი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში შეიკრიბნენ მეცნიერები, სტუდენტი ახალგაზრდობა, პედაგოგები და მოსამსახურეები.

წინასაარჩევნო კრება გახსნა პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ბახტაძემ.

საქმიანი და საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს გ. ახვლედიანს.

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად, — განაცხადა მან, — ვასახელებ მშობლიურ სტალინს. დიდი სტალინის სახელთან დაკავშირებულია არა მარტო ჩვენი სამშობლოს წარმატება, არამედ მთელი კაცობრიობის საუკეთესო იმედების განხორციელებაც.

ორატორის სიტყვებს ფარავს ხანგრძლივი მქუხარე ტაში.

პროფესორ გ. ახვლედიანის წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორმა სასწავლო ნაწილში, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა დ. დოლიძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ალ. ჯანელიძემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა თ. წერეთელმა და სხვებმა.

კრებამ ერთსულოვნად მიიღო დადგენილება: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას ხალხთა დიდი ბელადი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი. ეთხოვოს ი. ბ. სტალინს დათანხმდეს კენჭი იყაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქ. თბილისის ბერიას სახელობის № 599 საარჩევნო ოლქში.

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი, ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად — დავით ალექსის-ძე ჭიჭინაძე

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში წინასაარჩევნო კრება გახსნა საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ლიდა თხელიძემ. სიტყვა მიეცა ფაბრიკის წარჩინებულ ოსტატს სერგი ტრიფონის-ძე ქორიძეს.

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად — თქვა მან, — ვასახელებ მთელი პროგრესული კაცობრიობის მოამაგესა და საყვარელ ბელადს მშობლიურ სტალინს. ამხანაგი სტალინი ლენინთან ერთად ფუძემდებელია ჩვენი ბოლშევიკური პარტიისა, იგი ლენინთან ერთად სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია ჩვენი დიადი სოციალისტური სახელმწიფოსი, მან დიდი ლენინის სიკვდილის შემდეგ ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო განამტკიცა და გააძლიერა, სახელოვნად გამოატარა მრავალ განსაცდელში და კვლავ ახალ-ახალ გამარჯვებათა გზით მიჰყავს წინ — კომუნიზმისაკენ. ამხანაგი სტალინი განუხრელად ზრუნავს ჩვენზე, მან შეგვიქმნა ბედნიერი და საამური ცხოვრება. ვუსურვოთ ჩვენს დიდ ბელადს დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა მთელი მსოფლიოს მშრომელთა საკეთილდღეოდ.

ორატორის უკანასკნელ სიტყვებს ფარავს მქუხარე ტაში.

შემდეგ აღფრთოვანებულ სიტყვას ამბობს მექანიკური სახელოსნოს ოსტატი დავით ფსიტიძე.

სამღებრო-სააპრეტურო საამქროს უფროსმა ამხ. ვ. ჭანიშვილმა მხარი დაუჭირა ამხ. ქორიძის წინადადებას და შეიტანა წინადადება — წერილი გაეგზავნოს ამხანაგ სტალინს და ეთხოვოს დათანხმდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის სტალინის № 598 საარჩევნო ოლქში.

კრებამ უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო ამხანაგ სტალინისადმი გასაგზავნი წერილის ტექსტი.

სიტყვა აიღო ფაბრიკის მოწინავე სტახანოველმა სიმონ კონსტანტინეს-ძე ამაშუკელმა.

— დიდი სტალინისადმი ერთგულებას და სიყვარულს გამოვხატავთ, — თქვა მან, — როცა დეპუტატობის კანდიდატებად ვასახელებთ სოციალიზმის საქმისადმი ერთგულ ადამიანებს. წინადადება შემომაქვს ჩვენი კოლექტივიდან ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას ქ. თბილისის ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ლენინის ორდენოსანი დავით ალექსის-ძე ჭიჭინაძე.

ამხ. ამაშუკელის წინადადებას მხარი დაუჭირეს ფაბრიკის მოწინავე ადამიანებმა ინჟინერმა ვ. ვაზაგაშვილმა, სტახანოველმა ი. კარდანახიშვილმა და სხვებმა.

კრებამ დაადგინა: ეთხოვოს ამხ. დავით ალექსის-ძე ჭიჭინაძეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ქ. თბილისის № 145 საარჩევნო ოლქში.

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი, ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად — გრიგოლ თეოფილეს-ძე კარანაძე

4 თებერვალს შედგა ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსების და მოსამსახურეების საერთო კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებას. კრება გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გ. შილაკაძემ.

მქუხარე ტაშით საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი სტალინის მეთაურობით, აგრეთვე ამხანაგი კ. ჩარკვიანი.

სიტყვა ეძლევა ქარხნის დირექტორს ამხ. ნ. გომელაურს.

— წინადადება შემომაქვს, — ამბობს იგი, — კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჩვენი კოლექტივისაგან დასახელებულ იქნას ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის საყვარელი ბელადი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი. სტალინი ჩვენი მამა, იმედი და მასწავლებელია. მის სახელთან დაკავშირებულია ყველა მიღწევა, რაც საბჭოთა სახელმწიფომ თავისი არსებობის მანძილზე მოიპოვა. დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი გაბედულად და მტკიცედ მიდის წინ კომუნიზმისაკენ.

შემდეგ სიტყვას იღებს გ. შილაკაძე, რომელიც ამბობს:

— წინადადება შემომაქვს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი ამხ. გრიგოლ თეოფილეს-ძე კარანაძე.

ამხ. გომელაურისა და ამხ. შილაკაძის წინადადებებს მხურვალედ დაუჭირეს მხარი რ. გურგენიძემ, შ. გოგობერიშვილმა, მ. ბარბაქაძემ, ი. რაკიტამ, ვ. ქოსმანაშვილმა, გ. სხირტლაძემ, ფ. გარკუშევამ და ვ. ბულგატოვამ.

საერთო კრებამ ერთსულოვნად მიიღო დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მუშა-მოსამსახურეთაგან დასახელებულ იქნას დიდი სტალინი, ხოლო ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გრიგოლ თეოფილეს-ძე კარანაძე.

ხაშურის საელმავლო დეპოს კოლექტივმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი, ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად — ვლადიმერ გედევანის-ძე ცხოვრებაშვილი

ხაშური, 4 თებერვალი. (საქ. კორ.). შედგა საელმავლო დეპოს მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კრება. კრება გახსნა დეპოს აწევითი საამქროს ცნობილმა ოსტატმა, სტახანოველმა ამხ. ლ. ქვირიამ.

დღის წესრიგში დგას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების წამოყენების საკითხი. სიტყვას იღებს პარტბიუროს მდივანი ამხ. ალ. ჯანჯღავა.

— წინადადება შემომაქვს, — ამბობს იგი, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გორის № 608 საარჩევნო ოლქში წამოყენებულ იქნას ჩვენი გამარჯვებების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, მშობლიური მამა და მასწავლებელი დიდი სტალინი.

ამ წინადადებას კრების დამსწრენი მქუხარე ტაშით ხვდებიან. დიდხანს გაისმის შეძახილები მშრომელთა საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

ამხ. ალ. ჯანჯღავას წინადადებას მხურვალედ უჭერენ მხარს მემანქანე ი. დიდებულიძე, ინჟინერი გ. მაღლაფერიძე, ოსტატი გ. ღონღაძე და სხვები.

შემდეგ სიტყვა ითხოვა დეპოს წარჩინებულმა ოსტატმა გ. მაჩხანელმა. მან წინადადება შეიტანა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ხაშურის № 138 საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვლადიმერ გედევანის-ძე ცხოვრებაშვილი.

ამხ. მაჩხანელმა კრების დამსწრეთ გააცნო ამხ. ცხოვრებაშვილის ბიოგრაფია, დაახასიათა იგი, როგორც ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი, სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანი.

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე მემანქანე-ინსტრუქტორმა ვ. ფრანჩუკმა, მემანქანე გ. მაღლაკელიძემ და სხვებმა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ამხ. მაჩხანელის წინადადებას.

კრებამ ერთსულოვნად მიიღო დადგენილება — წამოყენებულ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგი ი. ბ. სტალინი; წამოყენებულ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ვ. გ. ცხოვრებაშვილი.

თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი, ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად — გრიგოლ ნიკიფორეს-ძე ზამბახიძე

სამუშაო დღე დამთავრდა. თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები მიიჩქარიან საზეიმოდ მორთული კლუბისაკენ, სადაც შედგება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელებისადმი მიძღვნილი წინასაარჩევნო კრება. ხალხით გაივსო დარბაზი.

კრებას ხსნის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ე. შენგელია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ ინფორმაციით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მდივანი ამხ. ი. ჩოჩია.

სიტყვა ეძლევა ფაბრიკის დირექტორს ამხ. გ. ხომერიკს.

— ამხანაგებო! — ამბობს ის, — ჩვენ აქ შევიკრიბენით, რათა დავასახელოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი. წინადადება შემომაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოვაყენოთ ხალხთა დიდი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი.

კრების მონაწილენი ამხანაგ სტალინის კანდიდატურის დასახელებას მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

— ჩვენი გამარჯვებები, — განაგრძობს ამხ. ხომერიკი, — დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის სახელთან, ახალი ცხოვრების გენიალურ შემოქმედთან. ჩვენ ვიმარჯვებდით და ვიმარჯვებთ, რადგან გვხელმძღვანელობს ლენინ-სტალინის უძლეველი პარტია, რადგან სტალინი გვინათებს კომუნიზმისაკენ მიმავალ გზას. დარწმუნებული ვარ ამხანაგ სტალინის კანდიდატურის დასახელებით მე გამოვხატავ მთელი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა აზრს.

სტახანოველმა მკერავმა ნ. ხითარიშვილმა, ტექნოლოგმა ე. ნონიკაშვილმა და ლ. ალახვერდოვამ ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ამხ. ხომერიკის წინადადებას.

კრებამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება — ეთხოვოს თანხმობა ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს, რათა კენჭი იყაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის ბერიას № 599 საარჩევნო ოლქში.

სიტყვას იღებს ინჟინერი შ. გოგისვანიძე.

— წინადადება შემომაქვს, — აცხადებს იგი, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. გრიგოლ ნიკიფორეს-ძე ზამბახიძე.

შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსი ამხ. მ. ძაძუა მხურვალედ უჭერს მხარს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ზამბახიძის დასახელებას.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ოსტატი ე. აჯაგოვა და ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი ამხ. ქ. მხითარიანი.

კრებამ მიიღო გადაწყვეტილება — ეთხოვოს გრიგოლ ნიკიფორეს-ძე ზამბახიძეს კენჭი იყაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის საქალაქო № 144 საარჩევნო ოლქში.

ამხანაგი ი. ბ. სტალინი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის საყოველთაო-სახალხო კანდიდატია

საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მშრომელთა საზოგადოებების, მუშათა, კოლმეურნეთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო მრავალრიცხოვან კრებებზე, რომლებიც შედგა 4 თებერვალს ბელორუსიის, უზბეკეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, მოლდავეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის, თურქმენეთის, ლატვიის, ესტონეთის ქალაქებსა და სოფლებში, მშრომელებმა უდიდესი აღფრთოვანებით ერთსულოვნად წამოაყენეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად საბჭოთა ხალხის დიდი ბელადი და მასწავლებელი, ჩვენი სამშობლოს ისტორიულ გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

ცნობები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ ი. ბ. სტალინის წამოყენების შესახებ მიღებულია მინსკიდან, ტაშკენტიდან, ალმა-ატიდან, ბაქოდან, კიშინიოვიდან, ფრუნზედან, სტალინაბადიდან, ერევნიდან, აშხაბადიდან, რიგიდან, ტალინიდან, სტალინგრადიდან, ჩიმკენტიდან, იუჟნო-სახალინსკიდან, სტავროპოლიდან, ჩკალოვიდან, ჩერკესკიდან, ნიჟნი ტაგილიდან, ზლატოუსტიდან და სხვა ქალაქებიდან.

ყველა წინასაარჩევნო კრებაზე დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი. (საქინფო).

ხალხი ასახელებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს

საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა

ლავრენტი პავლეს-ძე ბერია

საქართველოს ბერიას სახელობის ზრდილ ნოელ დრონშვილნი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ლოგში თავი მოიყარეს ინსტიტუტის პროფესორებმა, დოცენტებმა, თანამშრომლებმა, სტუდენტებმა.

საერთო კრება, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენებისადმი, შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ჩაგელიშვილმა.

ტრიბუნაზეა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი გ. ურუშაძე.

— მოელი ჩვენი ხალხი, — ამბობს ის, — ეფიდგესი ალფრთოვანებით ასახელებს თავის კანდიდატებს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში. წინადადება შემომაქვს ჩვენი კოლექტივისაგან კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას ქართველი ხალხის საამაყო შვილი, დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

მთელი რიგი წერილის განვალობაში ამხანაგი ბერია ხელმძღვანელობდა საქართველოს, მთელი ამიერკავკასიის ხალხებს. დიდია მისი დამსახურება ჩვენი მეურნეობისა და კულტურის აღმავლობის საქმეში.

დამსწრენი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ ამხ. გ. ურუშაძის წინადადებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ ლ. პ. ბერიას დასახელების შესახებ.

კრებაზე გამოვიდნენ ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი ხ. შალაშვილი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ი. ბათიაშვილი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი ნ. ლაჟაკაანი და სტუდენტი ი. ძნელაძე, რომლებმაც მხურვალედ დაუჭიროს მხარი ამხ. ურუშაძის წინადადებას.

ერთხმად მიღებული დადგენილებით საქართველოს სასოფლოსამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა კრებამ საქართველოს ბერიას, — ერთგული თანამებრძოლი, პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია და სთხოვა მას დათანხმდეს კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის № 599 საარჩევნო ოლქში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია

ნიკიფა სერგეს-ძე ხრუშჩოვი

ტრესტ „საქართველოს ჩაის“ მოსამსახურეები და სპეციალისტები შეიკრიბნენ, რათა წამოეყენებინათ თანეიანთ კანდიდატად სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებისადმი მიძღვნილი კრება გახსნა პარტიბიუროს მდივანმა ამხ. ილ. ლორმტმა.

სამეთაბილი და სპატიო პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ტრესტის მმართველის მოადგილემ ამხ. ლ. მეკვანაძემ.

— წინადადება შემომაქვს, — თქვა მან,—კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასასახელოთ დიდი სტალინის თანამებრძოლი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი და მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვი.

ნ. ს. ხრუშჩოვს მთელი ჩვენი ქვეყანის მშრომელები იცნობენ, როგორც ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს, ხალხის ერთგულ შვილს.

ტრესტ „საქართველოს ჩაის“ მმართველი ამხ. მ. სარჯველაძე მხარს უჭერს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის კანდიდატურას, ახასიათებს მას, როგორც ენინურ-სტალინური ტიპის სახელმწიფო მოღვაწეს.

ტრესტის მექანიზაციის განყოფილების გამგეს ამხ. კ. ჯალიაშვილს უამბნ დამსწრეთ ფიდი სამამული ომში ნ. ს. ხრუშჩოვის უდიდეს დამსახურებაზე.

ნ. ს. ხრუშჩოვის კანდიდატურას ერთსულოვნად დაუჭიროს მხარი აგრეთვე ტრესტის მთავარმა ენერგეტიკოსმა ლ. ბორისენკომ, ინჟინერმა ა. ბალიჩენმა და საგეგმო განყოფილების გამგეებ ვლ. მაჭავარიანმა. მათ მოუწოდეს დამსწრეთ ერთსულოვნად დაუჭირონ მხარი ნ. ს. ხრუშჩოვის კანდიდატურას.

კრების მონაწილეებმა გადაწყვეტილება მიიღეს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას ნ. ს. ხრუშჩოვი და ეთხოვოს მას დათანხმდეს კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს დეპუტატობაზე ქ. თბილისის ბერიას № 599 საარჩევნო ოლქში.

კრებამ თბილისის ორკონიკიძის რაიონის წინასაარჩევნო თათბირზე გასაგზავნად აირჩია თავისი წარმომადგენლები 10 კაცის შემადგენლობით.

თბილისის მეექვსე სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა

კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი

თბილისის მეექვსე სამკერვალო ფაბრიკაში ჩატარდა ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებას.

კრება გახსნა საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ე. ბარბაჩაძემ.

პირველი სიტყვა აიღო ფაბრიკის სტახანოველმა მკერავმა ე. ფეიერშვილმა.

ამხანაგებო!—ამბობს იგი, — მომამზადა არჩევნები საბჭოთა ხალხის მოსაზრეა - პოლიტიკური ერთიანობის, ენენინ-სტალინის პარტიის გარშემო მშრომელთა ერთსულოვანი დარაზმულობის მძლავრი დემონსტრაცია იქნება. წინასაარჩევნო კრებებზე მშრომელები თავიანთ პირველ კანდიდატებად ერთსულოვნად ასახელებენ ენენინ-სტალინის პარტიის სახელოვან შვილებს, ჩვენი ქვეყნის სახელმოხვეული ადამიანებს, რჩეულებს რჩეულთა შორის. ჩვენი ხალხის გამარჯვებანი დაკავშირებულია დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის სახელთან. ხალხს სურს დეპუტატობის მისი პირველი კანდიდატი იყოს ამხანაგი სტალინი. ახალი ცხოვრების გენიალურ შემოქმედთან ერთად თავის კანდიდატებად ხალხი ასახელებს ბელადის უახლოეს თანამებრძოლებს, მშრომელი ხალხის ღირსეულ შვილებს.

წინადადება შემომაქვს, — განაგრძობს ამბ. ფეიერშვილი, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის მეექვსე სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებისაგან დასახელებულ იქნას ენენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის თავდადებული ადამიანი, დიდი სტალინის თანამებრძოლი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის მარშალი კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი.

ამხანაგ კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვის კანდიდატურას კრების მონაწილეები მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ფაბრიკის მოწინავე ადამიანები მკერავები რ. ზაუერაშვილი, ა. დონსკაია, ეკატერინე თანაშვილი თ. ლანგლისი, საქონელმცოდნე ო. სვანიძე და სხვები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ფეიერშვილის წინადადებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვის დასახელების შესახებ.

კრებამ ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება — ამხ. კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი წამოყენებულ იქნას კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის ბერიას № 599 საარჩევნო ოლქში და ეთხოვოს მას კენჭი იყაროს ამ ოლქში.

კრებამ აირჩია წარმომადგენლები 20 კაცის რაოდენობით წინასაარჩევნო საარაონო კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

ზრომის სასახლის მუშა-მოსამსახურეებმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს

ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკი

— დღეს ჩვენ აქ შეგიყრიხეთ, რათა დიადი სტალინური კონსტიტუციის ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკი დამსახურებულად სარგებლობს მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხთა სიყვარულთან და პატივისცემით.

კრების თანამშრომლები მქუხარე ტაშით შეხვდნენ ამხ. ა. ჩიორგაძის წინადადებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ნ. მ. შვერნიკის დასახელებას მხურვალედ დაუჭიროს მხარი ამხ. ვ. კეშელავამ (დაწუხებითი და საშეალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი), ს. მაქალაძემ (ავეების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე) და სხვებმა.

კრების თანამშრომლებმა წერილით მიმართეს ამხანაგ ნ. მ. შვერნიკეს დათანხმდეს კენჭი იყაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის ბერიას № 599 საარჩევნო ოლქში.

კრებამ აირჩია წარმომადგენლებმ რაიონულ წინასაარჩევნო თათბირზე დასასწრებად.

თბილისის № 2 ფყავის ქარხნის კოლექტივმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა

ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი

დიდი აღფრთოვანებით ჩაიარა თბილისის № 2 ტყავის ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა საერთო კრებამ, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენებას.

კრება გახსნა ქარხნის დირექტორმა ამხ. ტ. თევდორაძემ, რომელმაც ილია პარაკა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მნიშვნელობაზე.

ელექტრომონტორმა ამხ. დ. დოლიძემ განაცხადა:

— ოთხი წელი გავიდა სსრ კავშირის მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევიდან. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა, ბოლშევიკური პარტიის ხელძღვანელობით, ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით, განუხრელი ალმაღლების გზით მიდიოდა. მეოთხე სტალინური ხუთწლიანის დავალებათა პირნათლად შესრულების საქმეში დამსახურება მოუძღვიან იმ დეპუტატებსაც, რომლებიც ამ ოთხი წლის წინათ წარეგზავნენ ჩვენი სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოში. ამკანად კელავ წინად გეხვეთ დიდი ბედნიერება — სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე წარმოვაყენოთ ხალხის ღირსეული ადამიანები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ წაიყვანენ. წინადადება შემომაქვს სსრ კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოვაყენოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ენენინ-სტალინის იდეების გამარჯვებისათვის ერთგული პარტიული ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკი დამსახურებულად სარგებლობს მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხთა სიყვარულთან და პატივისცემით.

კრების თანამშრომლებმა მქუხარე ტაშით შეხვდნენ ამხ. ა. ჩიორგაძის წინადადებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ნ. მ. შვერნიკის დასახელებას მხურვალედ დაუჭიროს მხარი ამხ. ვ. კეშელავამ (დაწუხებითი და საშეალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი), ს. მაქალაძემ (ავეების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე) და სხვებმა.

კრების თანამშრომლებმა წერილით მიმართეს ამხანაგ ნ. მ. შვერნიკეს დათანხმდეს კენჭი იყაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის ბერიას № 599 საარჩევნო ოლქში.

კრებამ აირჩია წარმომადგენლებმ რაიონულ წინასაარჩევნო თათბირზე გასაგზავნად ამხ. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი.

კრებაზე დამსწრენი ერთსულოვანი ქმაყოფილებით შეხვდნენ ამხ. დოლიძის წინადადებას. სტაყვები წარმოთქვეს და ამბანაგ ბულგანინის კანდიდატურას მხარი დაუჭიროს ქარხნის მოწინავე ადამიანებმა ბ. გაჩეჩილაძემ, ბ. ბუნტარაშმა, კ. ჭელიძემ, მ. ფუნაეკამ და სხვებმა. მათ ილაპარაკეს ამხ. ბულგანინზე, როგორც ენენინ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილზე. ყველასათვის ცნობილია, რა დიდი წვლილი შეიტანა ამხანაგმა ბულგანინმა სამამულო ომის წლებში მტრის გამარჯვების საქმეში. ომისშემდგომ პერიოდში ამხანაგი ბულგანინი მთელ თავის ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას აბსარს კომენინზმის გამარჯვებას. დიდი რუსი ხალხის ღირსეული შვილი ამხ. ბულგანინი ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეა.

კრებამ ერთსულოვნად მიიღო დადგენილება — წარმოეყენოთ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. ამხ. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი და ეთხოვოს მას დათანხმდეს კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის ბერიას № 599 საარჩევნო ოლქში.

კრებამ აირჩია წინასაარჩევნო საარაონო თათბირზე გასაგზავნი წარმომადგენლები.

თბილისის საელმავლო დეპოს კოლექტივმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა

ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩი

4 თებერვალს, მუშაობის დამთავრების შემდეგ, საელმავლო დეპოს კლუბში თავი მოიყარა ასობით მუშა-მოსამსახურემ და ინჟინერ-ტექნიკოსმა. წინასაარჩევნო კრება გახსნა პარტიბიუროს მდივანმა ამხ. ვ. გაბუნიამ.

კრების მონაწილეები ერთხმად ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ს. ჩარკვიანის.

ტრიბუნაზეა საელმავლო დეპოს უფროსი ამხ. მ. თოიიე.

— ამხანაგებო,—განაცხადა მან, — ჩვენ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში უნდა აეირჩიოთ ენენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის თავადადებული ადამიანები. წინადადება შემომაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას დიდი სტალინის თანამებრძოლი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სოციალისტური შრომის გმირი ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩი.

— ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის ცხოვრება და მოღვაწეობა, — განაცხადა სტახანოველმა პ. ცაცანაშვილმა,—ყველა ჩვენგანისათვის იმის ნიმუშია, თუ როგორ უნდა ემსახურო შენს ხალხს, შენს საყვარელ სამშობლოს.

მე სპეციალობით ელექტროშეინკალი ვარ, ამ დღეებში შევასრულე 14 წლის საწარმოო დავალება. ამკანად არჩევნების აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე ვდგავარ, პირობას ვიძლევი ყოველდღიური დავალება 400 პროცენტით გავანადღო. მხურვალედ ვუჭერ მხარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩის დასახელებას.

წინასაარჩევნო კრებაზე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს და ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის კანდიდატურას მხურვალედ დაუჭიროს მხარი აგრეთვე ელექტროსადამწყოს ოსტატმა გ. ახობაძემ, მემანქანე ი. ხარატიშვილმა და სხვებმა.

კრებამ ერთსულოვნად მიიღო დადგენილება, რომლითაც საელმავლო დეპოს კოლექტივი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ასახელებს ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩს და სთხოვა მას კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის სტალინის № 598 საარჩევნო ოლქში.

საელმავლო დეპოს უფროსოსს მოადგილე ამხანაგმა ს. ჯაფარაშვილმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა საორთქლმავლო დეპოს მემანქანე, სოციალისტური შრომის გმირი შალვა თევდორეს-ძე კოხრეიძე.

ამხ. ს. ჯაფარაშვილის წინადადებას ერთსულოვნად დაუჭიროს მხარი ინჟინერმა ი. ბარსეგოვმა, ოსტატებმა ი. ბატკუაშვილმა, ნ. ნათაძემ და ახალგაზრდა სტახანოველმა ა. იაკოვლევმა.

კრებამ მიიღო გადაწყვეტილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. შ. თ. კოხრეიძის დასახელების შესახებ და თხოვა მას კენჭი იყაროს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის ლენინის № 147 საარჩევნო ოლქში.

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად—

მიხეილ მიხეილის-ძე ლელაშვილი

თბილისის ხორცკომბინატის მუშები, მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკოსები სამუშაოს დამთავრებისთანავე შეიკრიბნენ კომბინატის ლუბში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენებისადმი მიძღვნილი კრება გახსნა პარტბიუროს მდივანმა ბ. კობიძემ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ ინფორმაციით გამოვიდა კომბინატის ფინანსურ-ეკონომიკური ინსტიტუტორი მ. მიროხანაშვილი.

სიტყვა ეძლევა ინჟინერ ვ. ხელაშვილს.

— ჩვენს წარმატებებში, — ამბობს ამხ. ხელაშვილი, — დიდი ეფაფლი მიუძღვის იმ ადამიანს, რომლის სახელსაც ჩვენი საწარმო ატარებს. ამხანაგ ანასტას ივანეს-ძე მიქოიანს ჩვენ, კვეების მრეწველობის მუშაკები, განსაკუთრებით კარგად ვიცნობთ, ეიცნობთ მის ენერგიულ და თავდადებულ მუშაობას სოციალისტური სამშობლოს საკეთილდეღეოდ. ამხანაგი მიქოიანი არის დიდი სტალინის თანამებრძოლი, საბჭოთა სამშობლოს ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე, ენენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი. ამიტომ წინადადება შემომაქვს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას ამხანაგი ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი.

კრების მონაწილენი ერთსულოვანი აღფრთოვანებით, მქუხარე ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან ამ წინადადებას.

კრებაზე გამოსულმა ორატორებმა — ღილების დამამზადებელი საამქროს უფროსმა ბ. ზეხტერმა, მთავარმა ეუტერინარმა ეკმიმმ ა. კანდელაკმა და ორგანო-თერაპევტმა პრეპარატების ქარხნის ამბულების ჩამომსხმელი საამქროს უფროსმა ამხ. ა. კარაკეულოვამ ხმარი დაუჭიროს ამ. ვ. ხელაშვილის წინადადებას.

კრებამ დაადგინა—ეთხოვოს ანასტას ივანეს-ძე მიქოიანს თანხმობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის სტალინის № 598 საარჩევნო ოლქში.

კრებამ მიიღო ტექსტი წერილისა თავისი კანდიდატისადმი.

ტრიბუნაზეა ადის ორგანო-თერაპევტული ქარხნის სისხლის პრეპარატების საამქროს უფროსი ო. ფოცხიშვილი.

— წინადადება შემომაქვს, — ამბობს იგი,—ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასასახელოთ პარტიისა და ხალხის ერთგული შვილი, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მიხეილ მიხეილის-ძე ლელაშვილი.

ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს ნედლეულის საამქროს მექანიკოსმა ა. ბარკავამ, ხორცის პირველადი გადამამუშავებელი საამქროს სტახანოველმა ნ. კოშკელოვამა, ამავე საამქროს უფროსის მოადგილემ ა. არუთინოვმა.

კრებამ სთხოვა მ. მ. ლელაშვილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის 26 კომისარის სახელობის № 146 საარჩევნო ოლქში.

კრებამ წინასაარჩევნო სოლქო თათბირზე დასასწრებად აირჩია 15 წარმომადგენელი, რომლებსაც დაავალა მხარი დაუჭირონ ამხანაგ ა. ი. მიქოიანისა და ამხ. მ. მ. ლელაშვილის კანდიდატურებს.

თბილისის კუიბიშევის სახელობის ხის დამამუშავებელი ქარხნის კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად წამოაყენა

ანდრია ანდრიას-ძე ანდრეევი

თბილისის კუიბიშევის სახელობის ხის დამმუშავებელი ქარხნის კოლექტივი შეიკრიბა საზეიმოდ მორთულ ლუბში, რათა წამოეყენებინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი.

სპპატიო პრეზიდიუმში კრება მქუხარე ტაშით იირჩეს საყავრენი კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დიდი სტალინის თანამებრძოლი, ფრენი ანდრიას-ძე ანდრეევი.

— ამხანაგ ანდრეევს, — ამბობს ამხ. გოგოლაშვილი, — მთელი საბჭოთა ხალხი იცნობს, როგორც დიდი სტალინის თანამებრძოლს, ენენინ-სტალინური ტიპის გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს. დიდია მისი დამსახურება საბჭოთა სამშობლოს და ხალხის წინაშე. ამხანაგი ანდრეევი მთელ თავის ენერგიას ენენინ-სტალინის საქმისათვის ბრძოლას ახმარს. მოუწოდებ ყველა ამომრჩეველს — მხურვალედ დაუჭირონ მხარი წინადადებას ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ ანდრია ანდრიას-ძე ანდრეევის წამოყენების შესახებ.

ამხანაგ ა. ა. ანდრეევის კანდიდატურას ერთსულოვნად უჭერენ მხარს მე-3 საამქროს ოსტატი ამ. ი. მალალაშვილი, ამავე საამქროს სტახანოველი დურგალი შ. ეიოსაშვილი და სხვები.

კრება ერთხმად ადგენს — წამოყენებულ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგი ანდრია ანდრიას-ძე ანდრეევი და ეთხოვოს მას კენჭი იყაროს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის სტალინის № 145 საარჩევნო ოლქში.

კრებამ აირჩია წარმომადგენელები წინასაარჩევნო სარაიონო თათბირის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

თბილისის სართავ-საპრიკოფაქო კომბინატის კოლექტივმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელა

ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი

საზეიმოდ მორთულ ლუბში თავი მოიყარეს თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ბრიგადა ენენინ-ტექნიკოსებმა. წინასაარჩევნო კრება გახსნა საყვარაოკომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ფ. ბოროსოვმა. სპპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ოვაციით ირჩევენ საყავრენი კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დიდი სტალინის მეთაურობით, აგრეთვე ამხანაგ ა. ჩარკვიანს.

ტრიბუნაზეა სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის დირექტორი ამხ. თ. გოგოლაძე.

ამხანაგებო!—განაცხადა მან,—დღეს ჩვენ აქ შეგიყრიხეთ, რათა დაავასახლოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი. წინადადება შემომაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი, ჩვენი სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სსრ კავშირის მუშაუქი მრეწველობის მინისტრი ამხანაგი ალექსეი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი.

ამბ. გოგოლაძე კრების დამსწრეთ დაწერილობით აცნობს ამხანაგ კოსიგინს ცხოვრებასა და მოღვაწეობის.

დარწმუნებულია ვარ, — თქვა დასასრულ ამბ. გოგოლაძემ, — რომ სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივის თვითეული მუშაკი მხურვალედ დაუჭერს მხარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ალექსეი ნიკოლოზის-ძე კოსიგინის დასახელებას.

სტახანოველი ამბ. ა. ლიახოვი ახასიათებს ამხანაგ კოსიგინს, როგორც საბჭოთა სამშობლოს მეზნეზარე პატრიოტს, ენენინ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილს.

ამბ. ლიახოვი ვრცლად აშუქებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში გაჩაღებული ბრძოლას ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის უკანასკნელი წლის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის. კომბინატმა გასული წლის დავალება შესრულა 107,4 პროცენტით, წინა წლთან შედარებით პროდუქციის ზრდა ფურის 58 პროცენტს. ამასთან სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა მნიშვნელოვანი რაოდენობით. ფარშევ შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 1948 წელთან შედარებით 34.4 პროცენტით, ხოლო ომამდელ 1940 წელთან შედარებით 116,2 პროცენტით.

— არჩევნების აღსანიშნავ ვახტზე დგას ყველა სამკერო, ცვლა, ბრიგადა. პირადად მე, — განაკუთვნა ამბ. ლიახოვმა, — ვალდებულებას ვკისრულობ ყოველდღიური საწარმოო დავალება შეეასრულო 150 პროცენტით.

მხურვალედ ვუჭერ მხარს ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინის კანდიდატურას. მაკარა, რომ იგი გაამართლებს ჩვენს ნდობას.

შემდეგ პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს მოწონავ სტახანოველმა მ. ვეფხაძემ, მთავარმა ინჟინერმა ა. ჩაპურინმა, რ. ბასიერშილმა და სხვებმა, რომელებმაც ერთსულოვნად დაუჭიროს მხარი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ ა. ნ. კოსიგინის წამოყენებას.

კრება ერთხმად ადგენს წამოყენებულ იქნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ალექსეი ნიკოლოზის-ძე კოსიგინის დასახელებას.

ამბ. ლიახოვი ვრცლად ეუბნებოდა ამხანაგი და ეთხოვოს მას კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის სტალინის № 598 საარჩევნო ოლქში.

ხალხი ასახელებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელა

კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი

4 თებერვალს, სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი კლუბში შეიკრიბა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებისადმი მიძღვნილ კრებას ხსნის ფაბრიკის დირექტორი ამხ. ე. ღავთაძე. საქმიანი პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ სამღებრო-გამომყვანი საამქროს ტექნიკურ ხელმძღვანელს ამხ. თ. ურუშაძეს წინადადება შემოაქვს არჩეულ იქნას საპატიო პრეზიდიუმი. კრება ერთსულოვანი ტაშით, მქუხარე ოვაციით საპატიო პრეზიდიუმში ირჩევს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დიდი სტალინის მეთაურობით, აგრეთვე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ კ. ჩარკვიანს.

საინფორმაციო მოხსენებისათვის თავმჯდომარე სიტყვას აძლევს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანს ამხ. ნ. ქვანიას.

ამხანაგებო,—ამბობს ამხ. ქვანია, — საბჭოთა ხალხი გაცხოველებით ემზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის, რაც სტალინური კონსტიტუციის, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის საფუძველზე 12 მარტს ჩატარდება. სსრ კავშირის მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შემდეგ საბჭოთა ხალხმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით მსოფლიო - ისტორიული გამარჯვებები მოიპოვა. ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო განმტკიცდა, გაძლიერდა. ამას მკაფიოდ ადასტურებს როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში წარმოების ომამდელი დონის მნიშვნელოვანი გადაჭარბება. დიდია მიღწევები მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების განვითარების დარგში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების პერიოდში საბჭოთა ხალხმა ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება. საბჭოთა ხალხის ამ საერთო აღმავლობას არც ჩვენი რაიონის მშრომელნი ჩამორჩებიან.

დღეს ჩვენ აქ შევიკრიბეთ, რათა დავასახელოთ ჩვენი კანდიდატი სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში. დარწმუნებული ვარ დეპუტატობის კანდიდატად დავასახელებთ ღირსეულ კანდიდატურას.

სიტყვა ეძლევა ფაბრიკის მთავარ ინჟინერს ამხ. ვ. ჩიქოვანს. ის ამბობს:

—ჩვენი ფაბრიკის კოლექტივის სახელით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხანაგ კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანს.

ამხანაგ ჩარკვიანის ხელმძღვანელობით განვითარდა ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, აყვავდა კულტურა, ხელოვნება, მეცნიერება. წინადადება შემომაქვს ეთხოვოს ამხანაგ ჩარკვიანს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ქალაქ თბილისის ბერიას № 599 საარჩევნო ოლქში.

ამხ. ჩიქოვანის წინადადებას მხურვალედ უჭერს მხარს ფაბრიკის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი ამხ. ნ. ბახტაძე.

— ამხანაგი ჩარკვიანი წლების მანძილზე ხელმძღვანელობს ჩვენს რესპუბლიკას,—ამბობს ამხ. ბახტაძე,—მისი ხელმძღვანელობით მოვიპოვეთ ჩვენ დიდი წარმატებანი. მის ხელმძღვანელობასა და დახმარებას ყოველდღე გრძნობს ჩვენი ფაბრიკის კოლექტივი. ჩვენი კოლექტივისათვის საამაყოა, რომ იგი ასახელებს ამხანაგ ჩარკვიანის კანდიდატურას.

ტრიბუნაზეა კომკავშირელი მქსოველი, სტახანოველი ნინო ქვიძე.

—მე მხურვალედ მივესალმები დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ ჩარკვიანის დასახელებას და პირობას ვიძლევი არჩევნების დღის—12 მარტისათვის 130 პროცენტით შევასრულო პირველი კვარტალის საწარმოო გეგმა, გამოვუშვა მხოლოდ პირველხარისხოვანი ქსოვილი.

ამხ. ჩიქოვანის წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი აგრეთვე სტახანოველმა მქსელავმა ნინო გოქსაძემ, სამღებრო-გამომყვანი საამქროს უფროსმა გ. ხომასურიძემ, სტახანოველმა მქსოველმა თ. კოპალეიშვილმა და სხვ.

კრებამ ერთსულოვნად დაადგინა:

1. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ - ტექნიკოსთა კოლექტივისაგან დასახელებულ იქნას საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი.

2. ეთხოვოს ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანს დათანხმდეს კენჭი იყაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობაზე ქალაქ თბილისის ბერიას № 599 საარჩევნო ოლქში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა და მუშა-მოსამსახურეებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს

კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კლუბში თავი მოიყარეს ინსტიტუტის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა და მუშა-მოსამსახურეებმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენებისადმი მიძღვნილ კრებას ხსნის სამედიცინო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. იმედაშვილი.

სიტყვა ეძლევა ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ კ. ერისთავს.

— ოთხმა წელმა განვლო, თქვა ამხ. კ. ერისთავმა, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა ქვეყანამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში. დიდია ჩვენი რესპუბლიკის მიღწევებიც. ეს მიღწევები მოპოვებულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. წინადადება შემომაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი.

ამხანაგი ჩარკვიანი არის ლენინ-სტალინის პარტიის ღირსეული შვილი. იგი ერთგულად ემსახურება მშრომელ ხალხს.

ამხ. კ. ერისთავის წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი პროფესორმა ა. ბუაჩიძემ, ფრიადოსანმა სტუდენტმა ა. ცინცაძემ და პროფესორმა გ. ნათაძემ.

კრებამ დაადგინა — ეთხოვოს ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანს თანხმობა კენჭი იყაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კავშირის საბჭოს არჩევნების ქ. თბილისის ბერიას № 599 საარჩევნო ოლქში.

კრებამ ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე გასაგზავნად აირჩია 22 კაცი.

კლუხორის რაიონის სოფელ ბარის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს

მიხეილ ივანეს-ძე ბარამია

კლუხორი. (ტელეფონით). სოფელ ბარის სასოფლო კლუბში შედგა ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებისადმი.

წინადადებისათვის სიტყვა ეძლევა სტახანოველ კოლმეურნეს ამხ. გ. ბურდულს.

— ჩვენი მოვალეობაა, — ამბობს იგი, — ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში გავგზავნოთ ჭეშმარიტად მოწინავე ადამიანი, ვინც თავისი მუშაობით ცხადყო საბჭოთა ხალხის საქმისადმი ერთგულება. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მე ვასახელებ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ მიხეილ ივანეს-ძე ბარამიას.

ამხ. მ. ი. ბარამიას კარგად იცნობენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები. ამხ. ბარამია ლენინ-სტალინის საქმისათვის, ხალხის საქმისათვის თავდადებული ადამიანი და გულისხმიერი ხელმძღვანელია

ამხ. ბურდულის წინადადებას დამსწრეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი.

კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება: ამხ. მიხეილ ივანეს-ძე ბარამია წამოყენებულ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და ეთხოვოს მას კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების ფოთის № 603 საარჩევნო ოლქში.

წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა, მოსამსახურეებმა და სპეციალისტებმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს

ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილი

თელავი, 4 თებერვალი. (საკ. კორ.). ლენინის ორდენოსანი წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა და სპეციალისტთა კრებას, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებას, 300-ზე მეტი კაცი დაესწრო.

კრება გახსნა მეურნეობის უფროსმა მევინემ ამხ. ა. შამუგიამ.

საქმიანი და საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ სიტყვას იღებს საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის მდივანი ამხ. გ. სეხნიაშვილი, რომელიც ლაპარაკობს იმ უდიდეს შრომით და პოლიტიკურ აღმავლობაზე, რაც თელავის რაიონის მშრომელთა შორის გამოიწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებამ.

შემდეგ სიტყვას იღებს მეურნეობის აგრონომი-დეკორატორი ამხ. ი. ხმალაძე.

— წინადადება შემომაქვს,—ამბობს იგი, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჩვენი კოლექტივიდან დასახელებულ იქნას ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილი. ჩვენ კარგად ვიცნობთ ამხ. ჩხუბიანიშვილს, როგორც საბჭოთა ხალხის საქმისათვის თავდადებულ ადამიანს და მტკიცე სტალინელს. მას მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის ჩვენი რესპუბლიკის მიერ მოპოვებულ წარმატებებში.

დამსწრენი მქუხარე ტაშით ხვდებიან ამხ. ხმალაძის წინადადებას.

სოციალისტური შრომის გმირები ამხ. ბ. ბატიაშვილი, დ. სავანელი და ა. იგნატოვა, ორგზის ლენინის ორდენოსანი ზ. ხუცაიძე მხურვალედ უჭერენ მხარს ამხ. ხმალაძის წინადადებას.

კრებამ მიიღო დადგენილება — ეთხოვოს ამხ. ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილს დათანხმდეს კენჭი იყაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კავშირის საბჭოს არჩევნების თელავის № 609 საარჩევნო ოლქში.

რკინიგზის სოხუმის საორთქლმავლო დეპოს მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა

ალექსანდრე ეპიფანეს-ძე თოფურიძე

სოხუმის საორთქლმავლო დეპოს მუშები, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები სამუშაოს დამთავრებისთანავე უკლებლივ შეიკრიბნენ წინასაარჩევნო კრებაზე, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებას.

კრებამ მქუხარე ტაშით საპატიო პრეზიდიუმში აირჩია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ სტალინის მეთაურობით, აგრეთვე ამხანაგი კ. ჩარკვიანი.

სიტყვა ეძლევა ამხ. მ. თაგანაშვილს. იგი ამბობს:

— ჩვენი ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით ემზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. დღეს აქ შევიკრიბენით, რათა დავასახელოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ჩვენი კანდიდატი. ამ უფლებას გვანიჭებს დიადი სტალინური კონსტიტუცია, რომლის დროშითაც წინ მიდის და შესანიშნავ გამარჯვებებს აღწევს ჩვენი დიდი სამშობლო. მე წინადადება შემომაქვს ჩვენი კოლექტივიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ალექსანდრე ეპიფანეს-ძე თოფურიძე.

ამ წინადადებას კრების მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ.

შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ მეორთქლმავლე გ. ნიკურაძე, ინჟინრები კ. მაზმანოვი, ა. შაპოვალოვი და სხვები, რომელთაც მხარი დაუჭირეს ამხ. თაგანაშვილის წინადადებას და ამხ. ა. ე. თოფურიძე დაახასიათეს, როგორც მშრომელთა კეთილდღეობისათვის დაუღალავი მებრძოლი.

კრებამ მიიღო დადგენილება მიმართონ თხოვნით ამხ. ა. ე. თოფურიძეს, რათა დათანხმდეს კენჭი იყაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სოხუმის საქალაქო № 126 საარჩევნო ოლქში.

სოფელ მჭადიჯვრის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს

ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილი

დუშეთი. (საკ. კორ.). სიხარულით შეიკრიბნენ წინასაარჩევნო კრებაზე დუშეთის რაიონის სოფელ მჭადიჯვრის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები. საზეიმოდ მორთულ კლუბში სამასამდე კოლმეურნემ მოიყარა თავი. კრებას ხსნის მოწინავე კოლმეურნე, დუშეთის რაიონული საბჭოს დეპუტატი გიორგი ფოთოლაშვილი.

ტრიბუნაზეა მჭადიჯვრის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ი. ძლიერიშვილი. იგი ლაპარაკობს ჩვენი ქვეყნის ყველაზე დემოკრატიულ საარჩევნო სისტემაზე და კოლმეურნეებს განუმარტავს შეკრების მიზანს.

სიტყვას იღებს კოლმეურნე ი. სამაშვილი.

— წინადადება შემომაქვს, — ამბობს იგი, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას გამოჩენილი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ამხ. ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილი.

ამხ. ი. სამაშვილის სიტყვას კოლმეურნეთა ტაში ფარავს.

ტრიბუნაზე ადის მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირი ს. ღუდუშაური, რომელიც მხარს უჭერს ამხ. ი. სამაშვილის წინადადებას. ღუდუშაურს ცვლიან კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანები: თ. ყარამზანაშვილი, მ. დინუაშვილი, ა. არჩუაძე, რომლებიც ერთსულოვნად უჭერენ მხარს წინადადებას ამხ. ნ. ი. მუსხელიშვილის დეპუტატობის კანდიდატად წამოყენების შესახებ.

კრებამ მიიღო დადგენილება — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას ამხ. ნ. ი. მუსხელიშვილი და ეთხოვოს მას კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის სასოფლო № 600 საარჩევნო ოლქში.

თბილისის ქალთა მეხუთე საშუალო სკოლის პედაგოგებმა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს

თამარ მიხეილის ასული მათიაშვილი

ქალთა მეხუთე საშუალო სკოლაში შედგა პედაგოგიური პერსონალისა და სკოლის თანამშრომელთა საერთო კრება, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებისადმი.

სიტყვა ეძლევა სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ამხ. თ. თავდგირიძეს.

— წინადადება შემომაქვს, — განაცხადა მან, — ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ თბილისის ქალთა 23-ე საშუალო სკოლის დირექტორი ამხ. თამარ მიხეილის ასული მათიაშვილი.

რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგები ორგზის ლენინის ორდენოსანი ნ. ბოცვაძე, ლენინის ორდენოსანი მასწავლებლები ნ. ნიჟარაძე და ქ. ზაალიშვილი ერთსულოვნად უჭერენ მხარს ამხ., თავდგირიძის წინადადებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. თ. მათიაშვილის დასახელების შესახებ.

კრებამ ერთხმად დაადგინა — ეთხოვოს ამხ. თ. მათიაშვილს მოგვცეს თანხმობა კენჭი იყაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ქ. თბილისის ორჯონიკიძის № 143 საარჩევნო ოლქში.

კრებამ რაიონულ წინასაარჩევნო კრებაზე გასაგზავნად აირჩია 7 კაცი.

ბათუმის მიქოიანის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა

ვასილ ბარნაბის-ძე გოგუა

ბათუმის მიქოიანის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებას, დამსწრეთა მაღალი პოლიტიკური აქტივობით ჩატარდა.

კრებამ საპატიო პრეზიდიუმში აირჩია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი სტალინის მეთაურობით, აგრეთვე ამხანაგი კ. ჩარკვიანი.

წინადადებისათვის სიტყვა მიეცა ამხ. ტ. მგელაძეს.

ახლოვდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე—12 მარტი,— ამბობს იგი.—ამ დღეს ჩვენი ხალხი თავის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში აირჩევს ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი ერთგულ და თავდადებულ ადამიანებს. კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მე ვასახელებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ვასილ ბარნაბის-ძე გოგუას.

საქართველოს მშრომელები ამხანაგ გოგუას იცნობენ როგორც ბოლშევიკური პარტიის ერთგულ შვილს, რომელიც პირნათლად ასრულებს ხალხის მსახურის საპატიო მოვალეობას.

ამხ. მგელაძის წინადადებას დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ. კრებაზე სიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა ფაბრიკის საამქროს უფროსმა ნ. სვეტლოვამ, კადრების განყოფილების უფროსმა ვ. მკერვალიშვილმა, მთავარმა ინჟინერმა ლ. ცანავამ და სხვებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი წამოყენებულ კანდიდატურას.

კრებამ ერთხმად დაადგინა: წამოყენებულ იქნას ამხანაგ ვასილ ბარნაბის-ძე გოგუა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და ეთხოვოს მას თანხმობა კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების ბათუმის № 602 საარჩევნო ოლქში.

ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივმა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა

როსტომ სიმონის-ძე შადური

საზეიმო ვითარებაში ჩატარდა ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრება. სიტყვა წარმოთქვა მესამე საამქროს უფროსმა ამხ. კ. მეფარიშვილმა, რომელმაც განაცხადა:

— დღეს ჩვენ შევიკრიბეთ იმისათვის, რომ განვახორციელოთ სტალინური კონსტიტუციით მონიჭებული დიადი უფლება — დავასახელოთ ჩვენი კანდიდატი საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოში. ჩემი წინადადებაა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოვაყენოთ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. როსტომ სიმონის-ძე შადური.

ამხ. მეფარიშვილის წინადადებამ ქარხნის კოლექტივში ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰპოვა. სიტყვა ითხოვა მეორე საამქროს უფროსმა ამხ. ვ. ჩემიამ.

— ამხ. შადურს, — თქვა მან, — ჩვენ ვიცნობთ, როგორც მტკიცე ბოლშევიკსა და ლენინ-სტალინის საქმისათვის შეუპოვარ მებრძოლს. სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში ამხ. შადური ჩვენი ღირსეული წარმომადგენელი იქნება, პირნათლად გაამართლებს ჩვენს ნდობას.

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე სტახანოველმა ზეინკალმა ამხ. ი. ოგანეზოვმა, ახალგაზრდა სტახანოველმა მ. არშინოვმა და სხვებმა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ამხ. შადურის კანდიდატურას.

კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება წამოაყენოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. როსტომ სიმონის-ძე შადური და სთხოვა მას კენჭი იყაროს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ბათუმის ზღვისპირის № 415 საარჩევნო ოლქში.

ზესტაფონის ლ. პ. ბერიას სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა

რაფიელ ილიას-ძე აგლაძე

ზესტაფონი. (საკ. კორ.). შედგა ზესტაფონის ლ. პ. ბერიას სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების საერთო კრება, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენებისადმი.

წინასაარჩევნო კრება გახსნა პარტბიუროს მდივანმა ამხ. ალ. გაჩეჩილაძემ.

ქარხნის ტექნიკური განყოფილების უფროსმა უპარტიო ინჟინერმა ირ. ლორთქიფანიძემ განაცხადა:

— ამხანაგებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მე ვასახელებ სტალინური პრემიის ლაურეატს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, ლენინის ორდენოსან პროფესორს რაფიელ ილიას-ძე აგლაძეს.

ამხ. ლორთქიფანიძის წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი ა. შალიმოვმა, შ. თედოზაშვილმა, გ. დიაკონიძემ და ახალგაზრდა ინჟინერმა ო. იოსელიანმა.

კრებამ დაადგინა: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას რაფიელ ილიას-ძე აგლაძე და თხოვნით მიმართა მას დათანხმდეს კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების ჭიათურის № 606 საარჩევნო ოლქში.

ყვარლის რაიონის სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს

მიხეილ ედიშერის-ძე ჭიაურელი

ყვარელი. (საკ. კორ.). შედგა სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა კრება, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებისადმი. ამ საკითხზე ინფორმაციით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ყვარლის რაიკომის მდივანი ამხ. მ. დიასამიძე.

შემდეგ სიტყვა მიეცა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, სოციალისტური შრომის გმირს ამხ. ვასილ ცისკარიშვილს.

— წინადადება შემომაქვს, — თქვა მან, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოვაყენოთ საბჭოთა კინოხელოვნების გამოჩენილი ოსტატი, სოციალისტური კულტურის სახელოვანი მოღვაწე მიხეილ ედიშერის-ძე ჭიაურელი. მის მიერ შექმნილი კინოფილმები „უკანასკნელი მასკარადი", „არსენა", „გიორგი სააკაძე", „დიადი განთიადი", „ფიცი" და სხვა ყოველთვის აღგვაფრთოვანებენ და გვინერგავენ სამშობლოსადმი სიყვარულსა და თავდადებას, გვმატებენ ენერგიას კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ამხ. ვ. ცისკარიშვილის წინადადებას კოლმეურნეები სიხარულით შეხვდნენ.

ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილმა, რომელმაც შარშან კვლავ ისახელა თავი ხორბლის უხვი მოსავლის მიღებით, განაცხადა:

— ჩვენ კარგად ვიცნობთ მიხეილ ჭიაურელს. იგი 12 წელზე მეტია, რაც სასახელოდ ამართლებს ჩვენს ნდობას. მე სიხარულით ვუჭერ მხარს წინადადებას ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მ. ჭიაურელის დასახელების შესახებ.

ასევე ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ამხ. ცისკარიშვილის წინადადებას სტახანოველმა კოლმეურნემ ელენე ახალბედაშვილმა და სხვებმა.

კრებამ ერთხმად დაადგინა: ყვარლის რაიონის სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრება ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ასახელებს მიხეილ ედიშერის-ძე ჭიაურელს და სთხოვს მას კენჭი იყაროს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თელავის № 148 საარჩევნო ოლქში.

ხალხი ასახელებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს

წინასაარჩევნო კრებები რესპუბლიკაში

აფხაზეთი

სოხუმი. (საქ. კორ.). სტალინის სახელობის სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე მოწინავე საამქროს უფროსმა ამხ. ვ. გაბელიამ წინადადება შეიტანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი ი. ბ. სტალინი. ამ წინადადებას დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ. სიტყვები წარმოთქვეს და დიდი ბელადის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს სტახანოველებმა ა. ადამიამ, პ. პაიშჩიკამ, ნ. კოვალენკომ, თამბაქოს საამქროს უფროსმა ამხ. ქ. ბოკუჩავამ და სხვ.

სოხუმის სანავსადგურო მოწყობილობათა ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კრება გახსნა ქარხნის დირექტორმა ამხ. ვ. სოლოვიოვმა. მე-3 საამქროს ოსტატმა ქ. რუმიანცევმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი.

თევზის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა გადაწყვიტეს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი.

ტყავფეხსაცმლის კომბინატში შემდგარ წინასაარჩევნო კრებაზე დიდი აღფრთოვანებით მიიღეს გადაწყვეტილება დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას ქართველი ხალხის საამაყო შვილი, დიდი სტალინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

— ჩვენი რესპუბლიკის აყვავების საქმეში, — თქვა ნავსადგურის მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე ამხ. დავითაიამ, — დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხანაგ ქ. ჩარკვიანს. ამიტომ ვასახელებ მას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

სოხუმის ბერიას სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ა. მგელაძე.

ოჩამჩირის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის კოლექტივმა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ოჩამჩირის № 408 საარჩევნო ოლქში კენჭის საყრელად წამოაყენა სოფელ ტამიშის დაწყებითი სკოლის გამგე ამხ. მარიამ ვლადიმერის ასული გადლია.

გულრიფშის რაიონის სოფელ დრანდის კოლმეურნეობა „ახალი სოფლის“ კოლმეურნეთა წინასაარჩევნო კრებაზე პირველადი პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. რომანოვმა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ამხ. სიმონ გრიგოლის-ძე ხოშტარია.

სოხუმის რაიონის სოფელ კელასურის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ს. ჩიქოვანი.

გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის ბერიას სახელობის კოლმეურნეებმა წინასაარჩევნო კრებაზე ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კალდახვარის № 402 საარჩევნო ოლქში წამოაყენეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. გრიგოლ შაკოს-ძე არძინბა.

სოხუმის საქალაქო ელექტროსადგურის კოლექტივმა დეპუტატობის კანდიდატად ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სოხუმის საქალაქო № 405 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამხ. სტეფანე სოლომონის-ძე მამულოვი.

გუდაუთის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის კოლექტივისაგან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გუდაუთის № 403 საარჩევნო ოლქში კენჭის საყრელად წამოყენებულია აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მიხეილ კონსტანტინეს-ძე დელბა.

ინჟინერმა ზ. გიგინეიშვილმა სოხუმის პურის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე სიტყვა წარმოთქვა და წინადადება შეიტანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების განყოფილების გამგე ამხ. კონსტანტინე გიორგის-ძე ჭიჭინაძე და ეთხოვოს მას თანხმობა, რათა კენჭი იყაროს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სოხუმის ჩარკვიანის № 404 საარჩევნო ოლქში.

ტყვარჩელის შახტმშენის სამმართველოს კოლექტივმა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ტყვარჩელის № 409 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ანდრია მაქსიმეს-ძე ჭოჭუა.

სოხუმის რაიონის სოფელ კელასურის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობაში შემდგარ კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას ამხ. მიხეილ გრიგოლის-ძე ცხაკაია და ეთხოვოს მას კენჭი იყაროს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სოხუმის № 406 საარჩევნო ოლქში.

გალის რაიონის სოფელ პირველი გალის სტალინური კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე კომკავშირელმა მერგოლურმა ამხ. თამარ კაკავამ წინადადება შეიტანა დეპუტატობის კანდიდატად ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გალის ცენტრალურ № 410 საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნას საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ივლიანე მაქსიმეს-ძე ზოდელავა.

ამავე რაიონის სოფელ შეშელეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე დაადგინეს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გალის სასოფლო № 411 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას ამხ. ალექსანდრე იორდანეს-ძე მირცხულავა.

სამხრეთ ოსეთი

სტალინირი. (საქ. კორ.). სამხრეთ ოსეთის საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში წინასაარჩევნო კრებებზე მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით ასახელებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს.

ქალაქ სტალინირის ავტოსარემონტო სახელოსნოს მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა წინასაარჩევნო კრება გახსნა სახელოსნოს დირექტორმა ამხ. ი. ბიბიკიანმა. სიტყვას იღებს პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. ტასოევი, რომელმაც განაცხადა:

— ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, წილად გვხვდა უსაზღვრო ბედნიერება ვცხოვრობდეთ და ვშრომობდეთ ქვეყანაში, რომელიც გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიჰყავს თანამედროვეობის უდიდეს ადამიანს, ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს მშობლიურ სტალინს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ დიდ სტალინს.

ამხ. გ. ტასოევის წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი ქარხნის მოწინავე ადამიანებმა ამხ. კოტაევმა, მოროზოვმა და ბუგაკოვმა. კრებამ დეპეშა გაუგზავნა ამხანაგ სტალინს და სთხოვა მას დათანხმდეს კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების გორის № 608 საარჩევნო ოლქში.

მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებაზე საოლქო საბჭოს აღმასკომის მდივანმა ამხ. ე. ჯიოევმა დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი. ამ წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი ამხ. ა. ელანოვმა და დ. სტეფანოვმა. კრებამ მიიღო გადაწყვეტილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ვ. მ. მოლოტოვის დასახელების შესახებ.

კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად წამოყენებულ იქნა ამხანაგი გ. მ. მალენკოვი.

სტალინირის ხე-ტყის კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებაზე კომბინატის მოწინავე ადამიანმა ამხ. ზ. გაზაევმა წინადადება შეიტანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ ლ. პ. ბერიას დასახელების შესახებ. ამ წინადადებას მხურვალედ დაუჭირა მხარი კრების ყველა მონაწილემ.

სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობის სტამბის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთხმად დაასახელა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი კ. ჩარკვიანი.

სტალინირის ავტოსახელოსნოს, აგურკრამიტის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ზნაურის რაიონის სოფელ წიღვლის კოლმეურნეთა კრებებზე ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სტალინირის № 142 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ზ. კეცხოველი.

სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის კოლმეურნეებმა და სტალინირის აგურ-კრამიტის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა წინასაარჩევნო კრებებზე კავშირის საბჭოს არჩევნების გორის № 608 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ვ. ი. ეგნატაშვილი.

სტალინირის რაიონის სოფელ თამარაშენის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრებამ ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სტალინირის № 617 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ა. იმნაძე.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ზნაურის № 619 საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს ძველი ბოლშევიკი ამხ. ი. პ. ვაცეკი.

ლენინგორის რაიონის სოფელ ახალდაბის კოლმეურნეთა წინასაარჩევნო კრებამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა აგრონომი მარიამ იორდანეს ასული ტეხოევა.

სოფელ ერედვის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებას 340 კოლმეურნე დაესწრო.

კრება გახსნა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ლენინის ორდენოსანმა ამხ. ი. ქრისტესიაშვილმა. სიტყვა აიღო მოწინავე კოლმეურნემ მიხ. ბოცვაძემ. მან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე ამხ. თამარ თევდორეს ასული სანაკოევა. ამ წინადადებას ერთხმად დაუჭირეს მხარი კოლმეურნეებმა ვ. ბასიკაძემ, ა. ზ. ქრისტესიაშვილმა, ვ. და ა. ცოტნიაშვილებმა.

კრებამ მიიღო დადგენილება — წამოყენებულ იქნას ამხ. თამარ თევდორეს-ასული სანაკოევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და ეთხოვოს მას კენჭი იყაროს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სტალინირის სასოფლო № 618 საარჩევნო ოლქში.

აჭარა

ბათუმი. (საქ. კორ.). აჭარის ასს რესპუბლიკის უდიდეს საწარმოში — სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში შედგა კრება, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენებისადმი.

კრება გახსნა ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ამხ. დ. სულაბერიძემ. ტრიბუნაზეა ნავთის გადამუშავების ოსტატი ამხ. ს. ჩანტლაძე, რომელმაც განაცხადა:

— საბჭოთა ხალხი თავის ისტორიულ გამარჯვებებს უმადლის ბოლშევიკურ პარტიას, დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს. სტალინი ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელი და შთამაგონებელია, სტალინი მთელი მსოფლიოს მშრომელთა დროშაა. ამიტომ კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ მშობლიურ სტალინს.

ამხ. ჩანტლაძის სიტყვები მქუხარე ტაშმა და ხანგრძლივმა ოვაციებმა დაფარა. მისმა წინადადებამ ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰპოვა, რაც გამოიხატა მე-5 საამქროს უფროს ამხ. პ. რიტუაკოვის, სტახანოველი ზეინკლის ს. ვერბინსკის, სტახანოველი ოპერატორების ნ. ზუბკოვას და პ. კისელიოვას აღმაფრთოვანებელი სიტყვებით.

კრებაზე ერთხმად დაადგინეს წამოყენებულ იქნას ამხანაგი ი. ბ. სტალინი კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და ეთხოვოს მას დათანხმდეს კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების ბათუმის № 602 საარჩევნო ოლქში.

ფანერის ქარხნის კოლექტივმა კავშირის საბჭოს არჩევნების ბათუმის № 602 საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა დიდი რუსი ხალხის სახელოვანი შვილი ამხანაგი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი.

ბერიას სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთხმად წამოაყენა ქართველი ხალხის საამაყო შვილი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

გემთშემკეთებელი ქარხნის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნა ამხანაგი გ. მ. მალენკოვი.

სავაჭრო ნავსადგურის კოლექტივმა დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქართველოს ბოლშევიკების ნაცადი ხელმძღვანელი ამხანაგი ქ. ჩარკვიანი.

გემთშემკეთებელი ქარხნისა და კავშირგაბმულობის სამინისტროს აჭარის კანტორის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე დეპუტატობის კანდიდატად ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ბათუმის შაუმიანის № 412 საარჩევნო ოლქში წამოყენებულია პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ი. დ. კოქლამაზაშვილი.

მანქანათმშენებელი და ტყავის ქარხნების კოლექტივების მიერ ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ბათუმის ფრუნზეს № 414 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია ამხ. ვ. გ. გრიგორიანი.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ბათუმის № 132 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატია საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ქ. გ. ბეჭვაია.

საზღვაო სასწავლებლისა და სამშენებლო ტრესტის კოლექტივებმა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ბათუმის ბერიას № 413 საარჩევნო ოლქში წამოაყენეს ამხ. გ. ს. კიკნაძე.

ქუთაისი

ქუთაისი. (საქ. კორ.). სტალინის სახელობის რიონჰესის ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მუშა-მოსამსახურეებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელეს ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი.

სამანქანო საამქროს უფროსმა გ. კვანტალიანმა, ინჟინერმა კ. ჩიხლაძემ და სხვებმა აღტაცებით ილაპარაკეს მთელი მსოფლიოს მშრომელთა წინაშე ამხანაგ სტალინის უდიდესი დამსახურების შესახებ.

ოსტატმა ს. კერესელიძემ კრებაზე განაცხადა:

— უპარტიო სპეციალისტი ვარ, მაგრამ საქმე, რისთვისაც პარტია იბრძვის, ჩემ საკუთარ და მშობლიურ საქმედ მიმაჩნია. ვალდებულებას ვკისრულობ საწარმოო დავალებანი ერთიორად შევასრულო.

წინასაარჩევნო კრებამ გადაწყვეტილება მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კავშირის საბჭოს არჩევნების ქუთაისის № 605 საარჩევნო ოლქში წამოყენებულ იქნას იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი და ეთხოვოს მას კენჭი იყაროს აღნიშნულ ოლქში.

მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს დიდი რუსი ხალხის საამაყო შვილი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი.

ლიტოპონის ქარხნის კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთხმად წამოაყენა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი.

მაუდის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელეს ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილი.

აბრეშუმის კომბინატის კოლექტივმა დეპუტატობის კანდიდატად ერთხმად დაასახელა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვალერიან მინას-ძე ბაქრაძე.

სამკერვალო ფაბრიკისა და საკონსერვო ქარხნის კოლექტივებმა დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. გრიგოლ ესეს-ძე ნარსია.

მახარაძე

მახარაძე. (საქ. კორ.). სოფელ ვაკიჯვარში ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენონ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი და სთხოვონ მას დათანხმდეს კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების ბათუმის № 602 საარჩევნო ოლქში.

ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა წინასაარჩევნო კრებაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ვასილ ბარნაბის-ძე გოგუა.

ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ჩოხატაურის № 131 საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. სიხარულიძე.

პროტესტები საფრანგეთში აფრიკელი დემოკრატების დევნის წინააღმდეგ

პარიზი, 4 თებერვალი. (საქდესი). საფრანგეთის საზოგადოებრიობა ენერგიულ პროტესტს აცხადებს რეპრესიების პოლიტიკის წინააღმდეგ, რასაც საფრანგეთის მთავრობა აფრიკელი დემოკრატების მიმართ ახორციელებს.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა მორის ტორეზმა აფრიკის დემოკრატიული გაერთიანების თავმჯდომარეს უფუე-ბუანის და ამ გაერთიანების გენერალურ მდივანს გაბრიელ დ'არბუსიეს გაუგზავნა დეპეშები, რომლებითაც გამოთქმულია სასტიკი პროტესტი აფრიკის დემოკრატიული გაერთიანების საქმიანობის აკრძალვის შესახებ მთავრობის ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილების წინააღმდეგ და აღშფოთება აფრიკის მკვიდრ მოსახლეობაზე პოლიციის თავდასხმის გამო.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციამ პროტესტი განაცხადა აფრიკელი დემოკრატების აწიოკების წინააღმდეგ და გაგზავნა დეპეშა, სადაც გამოთქმულია სოლიდარობა აფრიკის დემოკრატიული გაერთიანების ხელმძღვანელებისა და ყველა აფრიკელი დემოკრატისადმი.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მის მიერ გამოქვეყნებულ კომუნიკეში „საერთაშორისო მუშათა ორგანიზაციებისა და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ყურადღებას მიაქცევს აფრიკაში კოლონიური რეპრესიების გაძლიერების ფაქტს“.

ჯერ კიდევ არ დაწყნარებულა მღელვარება, რომელიც ნიგერიაში გამოიწვია ენიუგუში პოლიციის მიერ ატეხილმა სროლამ, სადაც მოკლეს 60 გაფიცული მაღაროელი, 80 კი დაჭრეს. უნდა გავიხსენოთ, რომ, ოფიციალური პატაკის თანახმად, „პოლიცია თავდაცვის მიზნით მოქმედებდა“, თუმცა არც ერთი პოლიციელი არ მოუკლავთ და არც დაუჭრიათ. ეს სრულიად ამათილებს მთავრობის განცხადებას.

მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშრომელებმა უნდა შეიტყონ სიმართლე ყველა ამ ფაქტის შესახებ.

საფრანგეთისა და ბრიტანეთის მთავრობების კოლონიზატორული საქმიანობა აფრიკაში, — ნათქვამია დასასრულ კომუნიკეში, — წარმოადგენს აფრიკის ტერიტორიაზე საერთო იმპერიალისტური გეგმის განხორციელებას.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მთელი მსოფლიოს მშრომელებს მოუწოდებს ჩაგრულ მშრომელებსა და აფრიკის ტერიტორიების მოსახლეობასთან აქტიური სოლიდარობისა და მხარდაჭერისაკენ.

გადადგნენ საფრანგეთის სოციალისტი მინისტრები

პარიზი, 4 თებერვალი. (საქდესი). დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში გაიმართა თათბირი, რომელშიც, გარდა სოციალისტი მინისტრების ჟიულ მოკის, პინოს, სეჟელის, ტომას და ლაკოსტისა, მონაწილეობა მიიღეს მთავრობის სხვა წევრებმა — სოციალისტებმა ბიონდიმ, მენიემ, ლეჟენმა და ჰორომ.

თათბირის დამთავრების შემდეგ ჟიულ მოკი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან წავიდა და გადასცა წერილი სოციალისტი მინისტრების კოლექტიური გადადგომის შესახებ.

იტალიის პოლიცია კვლავ მხეცურად გაუსწორდა მუშებს

რომი, 4 თებერვალი. (საქდესი). გუშინ ნეაპოლში მოხდა პოლიციის მიერ პროვოცირებული სერიოზული ინციდენტები. უმუშევართა ჯგუფი 500 კაცის რაოდენობით, რომელიც შედგებოდა ნეაპოლის საწარმოების „ნავალ მექანიკისა“ და „ანსალდოს“ უკანასკნელ დროს დათხოვნილი მუშებისაგან, მშვიდობიანად მიდიოდა პეტიციით პრეფექტურაში, მაგრამ ქალაქის ცენტრში მას თავს დაესხნენ წინასწარ გამზადებული მოტორიზებული პოლიციის დიდი ძალები. პოლიციელთა რაზმები გარს შემოერტყნენ დემონსტრანტებს და ავიწროებდნენ მანქანებით, სცემდნენ ხელკეტებსა და თოფის კონდახს.

ამავე დროს პოლიციელთა სხვა ჯგუფები დაერივნენ ქალაქის მთავარ ქუჩაზე მიმავალთა ჯგუფს და საერთო ცემა-ტყეპა მოაწყეს. ისინი ხელკეტებით ერეკებოდნენ ადამიანებს ტრამვაის ვაგონებიდან და ავტობუსებიდან, დასდევდნენ გაქცეულთ და სახლის შესასვლელებსა და მაღაზიებში დამალულთ. პოლიციელები განუკითხავად სცემდნენ მამაკაცებს, ქალებსა და ბავშვებს.

პოლიციელთა უწესობამ აღშფოთება გამოიწვია მთელ ქალაქში. მოსახლეობა პოლიციას შეხვდა ძახილით: „მკვლელებო!“. ფანჯრებიდან და აივნებიდან პოლიციელებს ესროდნენ მძიმე საგნებსა და ყვავილების ქოთნებს. პოლიციელები აწიოკებას ცალკე უბნებში რამდენიმე საათის განმავლობაში განაგრძობდნენ. დაჭრილია 30-მდე კაცი, ორი დაჭრილია მძიმედ, ერთი კაცი სიკვდილის პირასაა.

ნეაპოლის ვაჭართა ასოციაციამ პოლიციის მოქმედების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად დაუყოვნებლივ დაადგინა შეწყვიტოს ვაჭრობა ქალაქში. ყველა მაღაზია დახურულია. საწარმოებში სტიქიურად დაიწყო გაფიცვა.

შრომის პალატამ დაადგინა — დღეს 7-დან 19 საათამდე მოაწყოს საყოველთაო საპროტესტო გაფიცვა.

უკანასკნელ დღეებში პოლიციის მრავალი პროვოკაცია მოხდა აგრეთვე იტალიის მთელ რიგ ქალაქებში. 1 თებერვალს ჩიტა დი კასტელოში (პერუჯა) პოლიციამ ცრემლმდენი გაზები იხმარა ქალების — თამბაქოს ფაბრიკის გაფიცული მუშების დემონსტრაციის წინააღმდეგ. ექვს ქალს მძიმედ სცემეს თოფის კონდახით და ხელკეტით. გუშინ კალიარში (სარდინია) უმუშევართა დემონსტრაციაზე პოლიციის მხეცურად თავდასხმის შედეგად დაიჭრა 10 კაცი, 5 კაცი დააპატიმრეს.

ფასების ზრდა ინგლისში

ლონდონი, 4 თებერვალი. (საქდესი). როგორც გაზეთი „დეილი უორკერი“ იუწყება, ინგლისის ვაჭრობის სამინისტროს ცნობების თანახმად ერთი წლის განმავლობაში—1948 წლის დეკემბრიდან 1949 წლის დეკემბრამდე სურსათისა და თამბაქოს საბითუმო ფასები ინგლისში 19 პროცენტით გადიდდა.

კერძოდ მარცვლეულის ფასები გადიდდა 31 პროცენტით; ხორცის, თევზისა და კვერცხის— 23 პროცენტით; მატყლის — 20 პროცენტით, ბამბის — 16 პროცენტით, ყველის — 49 პროცენტით, ერბო-კარაქისა — 15 პროცენტით და მარგარინისა — 16 პროცენტით. ხორცის, თევზისა და კვერცხის ფასების გადიდება ყველაზე მეტი იყო მთელ 1939 წლის შემდგომ პერიოდში.

მთლიანად წელიწადში საბითუმო ფასები გადიდდა 9-ზე მეტი პროცენტით. „დეილი უორკერი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გირვანქა სტერლინგის დევალვაციის შედეგად მოსალოდნელია ფასების შემდგომი გადიდება.

რუმინეთის მთავრობამ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა დაამყაროს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან

ბუქარესტი, 4 თებერვალი. (საქდესი). რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა დაამყაროს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, რაც საგარეო საქმეთა მინისტრმა ანა პაუკერმა დეპეშით აცნობა ვიეტნამის საგარეო საქმეთა მინისტრს ხოან მინ ზიამს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ თავისი წარმომადგენელი დანიშნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიურ და სოციალურ საბჭოში

პეკინი, 4 თებერვალი. (საქდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურმა სახალხო მთავრობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიურ და სოციალურ საბჭოში წარმომადგენლად დანიშნა ძი ჯაო-ტინი.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

მოქალაქენო!

თვითეულ თქვენგანს შეუძლია დააზღვიოს სახდაზღვევაში თავისი საოჯახო ქონება.

დასაზღვევად მიიღება: ავეჯი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, მუსიკალური ინსტრუმენტები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, საშენი მასალა და სხვა.

სახდაზღვევა ანაზღაურებს ზარალს, გამოწვეულს ხანძრით, წყალდიდობით, მიწისძვრითა და სხვა სტიქიური უბედურებით.

დაზღვევის გადასახდელი დაწესებულია სადაზღვევო თანხის ყოველ 1.000 მანეთზე წლიურად:

ქალაქებსა და მუშათა დაბებში . . . . 1-დან 4 მანეთამდე

სოფელ ადგილებში . . . . 2-დან 4 მანეთამდე

დადეთ და დროზე განაახლეთ საოჯახო ქონების დაზღვევის ხელშეკრულებანი!

ხელშეკრულების დასადებად მიმართეთ სახდაზღვევის ინსპექციას ან დაზღვევის აგენტს.

სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო საქართველოს სსრ-ში.

სიცოცხლის შერეული დაზღვევა

ყოველ მშრომელს შეუძლია უზრუნველყოს თავისი თავი და ოჯახი, თუ სახელმწიფო დაზღვევაში სიცოცხლეს დაიზღვევს შერეული დაზღვევის წესით.

შერეული დაზღვევის წესით სიცოცხლის დაზღვევისას სახელმწიფო დაზღვევა სადაზღვევო თანხას უხდის:

ა) თვითონ დაზღვეულს, თუ იგი იცოცხლებს დაზღვევის ვადის გასვლამდე და უბედური შემთხვევით გამოწვეული ინვალიდობის შემთხვევაში.

ბ) ოჯახს და მახლობელთ, თუ დაზღვეული გარდაიცვალა დაზღვევის ვადის გასვლამდე.

დაზღვეულს ეძლევა შემდეგი შეღავათი:

1. თუ დაზღვეულმა შრომის უნარი 50%-ზე მეტი ოდენობით დაკარგა, იგი სრულიად თავისუფლდება დაზღვევის შესატანის შემდგომ გადახდისაგან.

2. თუ შრომის უნარი დაკარგულია 30-დან 50%-მდე, დაზღვევის შესატანის განაკვეთი სანახევროდ მცირდება.

დაიზღვიეთ სიცოცხლე შერეული დაზღვევის წესით.

დაზღვევის გასაფორმებლად მიმართეთ სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციებს ან დაზღვევის აგენტებს.

მოქალაქე **გიორგი ლევანის-ძე ზარანდიამ,** მცხოვრებმა სამტრედიაში კიროვის ქ. № 133, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ნინო ზაქარიას ასულ პარტალინახთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის პირველი ინსტანცია.

მოქალაქე **შალვა დავითის-ძე ზაალიშვილმა,** მცხოვრებმა ბაქრაძის ქ. № 11, აღძრა საქმე კლარა ცეტკინის ქ. № 112 მცხოვრებ მოქალაქე **მედეა დავითის ასულ ლომიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს ორჯონიკიძის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხაზდივნისა—3.06.88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3.81.84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3.57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა — 3-80-88, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3.80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3.73.24, მორიგისა და გამომშვების — 3.81.65, გამომცემლობისა — 3-51.81, სტამბის დირექტორის—3.77.70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00415